

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.01.2023

### ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2022 წლის დეკემბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 0.1 პროცენტის ბრუნვა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 8.2 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამამუშავებელი პროდუქციაზე ფასები 18.5 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 10.1 პროცენტით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 1.8 პროცენტით, ხოლო ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 4.4 პროცენტის კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის დეკემბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>108.2</b>	<b>8.16</b>
<b>B</b>	<b>სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამამუშავება</b>	<b>118.5</b>	<b>0.33</b>
<b>C</b>	<b>დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია</b>	<b>110.1</b>	<b>8.37</b>
10	კვების პროდუქტები	111.9	4.60
<b>D</b>	<b>ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი</b>	<b>95.6</b>	<b>-0.58</b>
<b>E</b>	<b>წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით</b>	<b>101.8</b>	<b>0.04</b>

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.01.2023

### ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე =100)



#### საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)